პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 175 (12069)
ხუთშაბათი,
3
აგვისტო,
1961 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

*პ რ ო ე ქ ტ ი*

# პ რ ო გ რ ა მ ა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

## 4. კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

კულტურული განვითარება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი იქნება. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია ყველა საჭირო იდეოლოგიური და კულტურული პირობის შექმნა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მოსახლეობის კულტურულ ზრდაზე დიდად არის დამოკიდებული საწარმოო ძალების აღმავლობა, ტექნიკის პროგრესი და წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება, თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება, ყოფაცხოვრების კომუნისტური გარდაქმნა.

კომუნიზმის კულტურა, რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. იგი განასახიერებს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების, საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა.

**ა) საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყოველმხრივი განვითარება.**

კომუნიზმზე გადასვლის პირობებში შემოქმედებითი საქმიანობა კულტურის ყველა დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერი და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა წევრისათვის. საბჭოთა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, კინემატოგრაფია, თეატრი, ხელოვნების ყველა დარგი ახალ სიმაღლეებს მიაღწევს იდეური შინაარსისა და მხატვრული ოსტატობის განვითარებაში. ფართოდ გავრცელდება სახალხო თეატრები, მასობრივი თვითმოქმედება, ტექნიკური გამომგონებლობა და ხალხური შემოქმედების სხვა ფორმები. მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთაგან დაწინაურდებიან ახალი ნიჭიერი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები. საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება ხდება მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე.

პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის, თვითეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრული გამოვლინების ყველა პირობის შექმნისათვის, ყველა მშრომელის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის უზრუნველყოთილი იქნება:

— წიგნის გამომცემლობის საქმისა და პრესის ყოველი ღონისძიებით განვითარება პოლიგრაფიული მრეწველობის და ქაღალდის წარმოების შესაბამისი გაფართოებით;

— ბიბლიოთეკების, სალექციო და სამკითხველო დარბაზების, თეატრების, კლუბების, კულტურის სახლების, კინოთეატრების ქსელის გადიდება;

— ჩვენი ქვეყნის რადიოფიკაციის დამთავრება, სატელევიზიო ცენტრების მშენებლობა, რომლებიც მოიცავენ ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებს;

— სახალხო უნივერსიტეტების, თეატრალური კოლექტივებისა და სხვა თვითმოქმედი კულტურული ორგანიზაციების ფართოდ განვითარება;

— შექმნა ხელმისაწვდომი სამეცნიერო და ტექნიკური ლაბორატორიების, სამხატვრო სახელოსნოების და კონსერვატორიების ფართო ქსელისა, სადაც მუშაობა შეეძლება ყველას, ვისაც მისწრაფება და უნარი აქვს.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია თანაბრად განლაგდეს კულტურული დაწესებულებანი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა თანდათანობით ამაღლდეს სოფლის კულტურის დონე ქალაქის დონემდე. უზრუნველყოფილ იქნას კულტურული ცხოვრების სწრაფი განვითარება ახლად ათვისებულ რაიონებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობის კულტურას, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ გაფორმებასა და დაგეგმვას. მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთაგონებულს გახდის შრომას, დაამშვენებს ყოფაცხოვრებას და გააკეთილშობილებს ადამიანს.

**ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი როლის ამაღლება.**

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ. საბჭოთა ადამიანს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, გაბედული ნოვატორობა ცხოვრების მხატვრულ ასახვაში შეხამებულია მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან. მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოვლინებისათვის, შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებისათვის.

კომუნისტური პარტია ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში სწორი მიმართულებისათვის, მათი იდეური და მხატვრული დონისათვის, ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითს კავშირებს მათს მუშაობაში.

**გ) საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის განვითარება.** პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ინტერესებისათვის.

## VI. კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობა მიაჩნია მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხების მიერ კომუნისტური საზოგადოების აშენების შემადგენელ ნაწილად.

სოციალისტური რევოლუციები ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვა დროს რომ ხდება და ამ ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე ერთნაირი რომ არ არის, ეს განაპირობებს იმას, რომ იქ სოციალიზმის აშენების დამთავრება და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მათი შესვლა ერთსა და იმავე დროს არ მოხდება. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოების განვითარება სოციალიზმის ერთიანი მსოფლიო სისტემის შემადგენლობაში, ამ სისტემის კანონზომიერებათა და უპირატესობათა გამოყენება უზრუნველყოფს მათთვის **შესაძლებლობას შეამოკლონ სოციალიზმის მშენებლობის ვადები, სახავს პერსპექტივას, რომ ისინი მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში, გადავლენ კომუნიზმზე.**

ქვეყანა, რომელიც პირველი მიდის კომუნიზმისაკენ, აადვილებს და აჩქარებს მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინსვლას კომუნიზმისაკენ. კომუნიზმს რომ აშენებენ, საბჭოთა კავშირის ხალხები მთელი კაცობრიობისათვის კაფავენ გაუკვალავ გზებს, საკუთარი გამოცდილებით ამოწმებენ ამ გზების სისწორეს, ავლინებენ სიძნელეებს, პოულობენ მათი დაძლევის საშუალებებს, არჩევენ კომუნისტური მშენებლობის საუკეთესო ფორმებსა და მეთოდებს.

რამდენადაც საზოგადოებრივი ძალები — მუშათა კლასი, კოოპერირებული გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია — და მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმები (საწარმოები, რომლებსაც საფუძვლად უდევთ სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა) საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ერთი ტიპისა არიან, იმდენად სსრ კავშირში და ამ ქვეყნებში კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი კანონზომიერებანი საერთო იქნება, თვითეული ქვეყნის ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობა შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის თვითეული ქვეყნის ინტერესებს, რადგან განამტკიცებს მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ეკონომიურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას, ქმნის სულ უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობებს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 172, 173, 174.

*საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში*

# ფართოდ და ღრმად გავუწიოთ პროპაგანდა სკკპ პროგრამის პროექტს

**განსაკუთრებული** ყურადღებით და ინტერესით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა ადამიანები ეპოქის დიდებულ პოლიტიკურ და თეორიულ მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს. ისინი ალსავსენი არიან სიამაყით მშობლიური ლენინური პარტიისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების აღმფრთოვანებელი პერსპექტივებისათვის, ემზადებიან ახალი შესანიშნავი შრომითი საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას.

2 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაკთა საინსტრუქციო თათბირი, რომელიც მიეძღვნა საკითხს: საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდისა და შესწავლის საქმეში.

თათბირზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის შექმნას, რომელიც კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის დროშაა, ამბობს ამხ. მჟავანაძე, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. პარტიული პროგრამა, რომელსაც მიიღებს სკკპ XXII ყრილობა არის კომუნისტური საზოგადოების აშენების ისტორიაში პირველი მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა კომუნისტური საზოგადოების აშენებისა.

ამუშავებდნენ რა ახალ პროგრამას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ეყრდნობოდნენ სსრ კავშირის მშრომელთა, მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის წინანდელი ბრძოლის შედეგებს, სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის უმდიდრეს გამოცდილებას. სკკპ პროგრამის პროექტში მოცემული თეორიული დებულებანი და დასკვნები კანონზომიერი განგრძობაა მარქსისა და ენგელსის იდეებისა, რომლებიც მათ პირველად გამოაცხადეს „კომუნისტურ მანიფესტში“ და რომლებიც გაამდიდრა და განავითარა ვ. ი. ლენინმა ახალ ეპოქასთან შეფარდებით.

სკკპ ახალი პროგრამის პროექტი მთლიანად ინარჩუნებს ჩვენი პარტიის ორი წინანდელი პროგრამის მემკვიდრეობითობას. იგი არის მეცნიერული კომუნიზმის დიადი ნაწარმოები, გაბედული რევოლუციური აზროვნებისა და ფასდაუდებელი რევოლუციური პრაქტიკის ნაყოფი. იგი გვაფრთოვანებს და გვასწავლის გამარჯვებას, ახალი ცხოვრების შენებას, უსხეოსნენებს კაცობრიობას მისი იდეალებისა და მისწრაფებათა განხორციელების გზას. იგი დიდად უწყობს ხელს მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების განმათავისუფლებელ ბრძოლას, კომუნიზმი მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალია. სწორედ ამიტომ სკკპ პროგრამის პროექტს ასე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხები, ყველა ქვეყნის მშრომელნი.

ეყრდნობა რა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, პროექტი იძლევა ღრმა, ყოველმხრივ მარქსისტულ ანალიზს თანამედროვე ეპოქისა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქისა, სოციალისტურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა ეპოქისა, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქისა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქისა.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს მთავარ ამოცანებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ახლანდელ პირობებში კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. რა უმაღლეს მიზანს ისახავს ჩვენი პარტია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში? ეს არის უწინარეს ყოვლისა სრული განსახიერება პარტიის ლოზუნგისა: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ პარტიის მთავარი ამოცანაა ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის დროშას აწერია: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში მიაჩნია საბჭოთა ხალხის დიდმნიშვნელოვან ინტერნაციონალურ ამოცანად. ეს ამოცანა შეესაბამება არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა ინტერესებს, არამედ აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის, მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

კომუნიზმი ყველაზე პროგრესული, ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებაა. კომუნიზმი ასრულებს ჩაგვრისაგან, ექსპლოატაციისაგან, სოციალური უთანასწორობისაგან, სიღატაკისა და უმუშევრობისაგან, ომის საშინელებათაგან ყველა ადამიანის განთავისუფლების უკეთილშობილეს ისტორიულ მისიას. კომუნიზმს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, მოკვეს მშვიდობა, შრომა, თანასწორობა და ბედნიერება. კომუნიზმის პროგრესულობაა სკკპ ახალი პროგრამის ძალა, მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

ამხ. მჟავანაძე ეხება სკკპ პროგრამის პროექტის პირველი და მეორე ნაწილის შინაარსს, ლაპარაკობს ძირითად ეკონომიურ ამოცანაზე, რომელსაც ჩვენი პარტია სახავს უახლოესი ოცი წლისათვის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დიადი აღმავლობის დასახულ პროგრამაზე.

სკკპ პროგრამის პროექტმა უცხოველესი გამოხმაურება პოვა ყველა საბჭოთა ადამიანის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების გულში, ამბობს ამხ. მჟავანაძე. სულ სამი დღე

(დასასრული მე-2 გვ.)

# მოსკოვს ჩამოვიდა ა. ფანფანი

**მოსკოვი,** 2 აგვისტო. (საკუთარი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამინტორე ფანფანი.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მუდამ მხარს უჭერენ ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას, მიესალმებიან იტალიის მთავრობის მეთაურის ვიზიტს სსრ კავშირში და იმედი აქვთ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

იტალიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვის აეროდრომზე პრემიერ-მინისტრის შესახვედრად მოვიდა მოსკოვის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი წარმომადგენელი. აქ მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ს. ვ. კუტაშოვი, ნ. ს. პატოლიჩევი და სხვები.

აქვე არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, იტალიის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

დღის 3 საათზე თვითმფრინავი დაეშვა და მიფრინდა აეროპორტის შენობასთან. სტუმრები გამოდიან თვითმფრინავიდან. ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ა. გრომიკო გულთბილად მიესალმებიან ა. ფანფანის, იტალიის დელეგაციის წევრებს.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაჟი. გაისმის ორივე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფანფანიმ.

აეროდრომიდან ა. ფანფანი და ნ. ს. ხრუშჩოვი ღია მანქანით წავიდნენ კრემლში. მთელ გზაზე მოსკოველები გულთბილად მიესალმებოდნენ იტალიის მთავრობის მეთაურსა და აბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

# პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(დასასრული)

გაღრმავებისათვის, ამ ქვეყნებისადმი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

სკკპ ემყარება იმას, რომ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის არსებული ფორმები — საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება — სულ უფრო განვითარდება და გაუმჯობესდება.

სოციალისტური წყობილება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მოისპოს კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიური და კულტურული განსხვავება ქვეყნებს შორის, უფრო სწრაფად განვითარდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც კაპიტალიზმის დროს ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ, და განუხრელი აღმავლობის გზით წავიდეს მათი ეკონომიკა და კულტურა, გათანაბრდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების განვითარების საერთო დონე. ამას უზრუნველყოფს: სოციალიზმის ეკონომიური სისტემის უპირატესობანი, თანასწორუფლებიანობა ეკონომიურ ურთიერთობაში; ურთიერთდახმარება და გამოცდილების გაზიარება, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაცვლა, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია; სამრეწველო ობიექტების ერთობლივად მშენებლობა, თანამშრომლობა ბუნებრივი რესურსების დამუშავებაში. ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობით მოიგებს თვითეული სოციალისტური ქვეყანა, მთლიანად სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები თვითეული სოციალისტური ქვეყნისაგან მოითხოვს იმას, რომ თავისი ეროვნული მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებანი შეახამოს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების ღონისძიებებთან. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის საერთო დონის ამაღლებისა და შეთანასწორების მიღწევა შეიძლება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ თვითეულმა ქვეყანამ მთლიანად გამოიყენოს თავისი შინაგანი რესურსები, გააუმჯობესოს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, თანმიმდევრულად გამოიყენოს სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ლენინური პრინციპები და მეთოდები, ეფექტიანად გამოიყენოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის უპირატესობანი.

კომუნიზმის აშენებისათვის მატერიალური წანამძღვრების შექმნა ხორციელდება თვითეული ქვეყნის ხალხის შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეში მისი წვლილის განუწყვეტელი გაღიდების საფუძველზე. ამას ხელს უწყობს: სოციალისტურ მშენებლობაში გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის გამოყენება; ხალხის, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის გაშლა; სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემის განუწყვეტელი გაუმჯობესება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფარგლებში ნებაყოფლობის, ურთიერთსარგებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლების საფუძველზე; კოლექტიური გამოცდილების შესწავლა; თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების განმტკიცება; მატერიალური დაინტერესებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომის მორალური სტიმულების ყოველი ღონისძიებით განვითარების პრინციპების განუხრელი დაცვა, შრომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლის განხორციელება.

სოციალიზმი აახლოებს ხალხებსა და ქვეყნებს. სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ფართო თანამშრომლობის პროცესში განმტკიცდება მსოფლიო სოციალიზმის საერთო ეკონომიური ბაზა.

ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც სოციალიზმის მსოფლიო სისტემას ახასიათებს, სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები განაპირობებენ ცალკეულ ეროვნულ მეურნეობათა სულ უფრო მეტ დაახლოებას. როგორც ვ. ი. ლენინი განჭვრეტდა, ვითარდება იმის ტენდენციები, რომ მომავალში შეიქმნას მსოფლიო კომუნისტური მეურნეობა, რომელსაც ერთიანი გეგმით მოაწესრიგებს გამარჯვებული მუშათა კლასი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან თანამეგობრობით თავის ამოცანებად მიაჩნია:

**პოლიტიკურ** დარგში — მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, სრული თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობითი თანამშრომლობის საფუძვლებზე ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ძმური ურთიერთობის განვითარება, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა პოლიტიკური კონსოლიდაცია საყოველთაო მშვიდობისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად;

**ეკონომიურ** დარგში — საქონელბრუნვის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების განვითარება, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის პერსპექტიული სამეურნეო გეგმების სულ უფრო ღრმა კოორდინაცია, რაც ითვალისწინებს საზოგადოებრივი შრომის რაც შეიძლება მეტი ეკონომიის მიღწევას, მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის განვითარების დაჩქარებას, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცებას;

**კულტურის** დარგში — სოციალისტური ქვეყნების ხალხთა კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთობის, კულტურული მიღწევების ურთიერთგაცვლის ყველა ფორმის განუწყვეტელი განვითარება, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება; ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრებისათვის, სოციალისტური ერების ცხოვრებისა და სულიერი წყობის დაახლოებისათვის აქტიურად ხელშეწყობა.

სკკპ და საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დახმარება გაუწიონ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

## VII. პარტია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია, გაფართოვა თავისი წარმმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. პარტია გონება, ღირსება და სინდისია ჩვენი ეპოქისა, საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიად რევოლუციურ გარდაქმნებს ახორციელებს. იგი ფხიზლად აკვირდება მომავალს, უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, უღვიძებს მასებს გიგანტურ ენერგიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს **კომუნისტური პარტიის**, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, **როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.**

კომუნისტური საზოგადოება, ყველა წინა სოციალურ-ეკონომიური ფორმაციისაგან განსხვავებით, ყალიბდება არა სტიქიურად, არამედ ხალხის მასების შეგნებული და მიზანდასახული საქმიანობის შედეგად, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური პარტია ხელმძღვანელობს. კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მშრომელთა ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს, მჭიდროდ დაკავშირებულია მასებთან, სარგებლობს უსაზღვრო ავტორიტეტით ხალხში, დაუფლებულია საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებლობისათვის მთელი მუშაობის სწორ ხელმძღვანელობას, აძლევს მას ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს.

პარტიის როლის ამაღლებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ამ საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე განაპირობებს:

— კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდა და ამოცანების სირთულე, რაც პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს;

— მასების შემოქმედებითი აქტივობის აღმავლობა, ახალ მილიონობით მშრომელთა ჩაბმა სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში;

— სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოება;

— მეცნიერული კომუნიზმის თეორიის, მისი შემოქმედებითი განვითარებისა და პროპაგანდის მზარდი მნიშვნელობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისა და ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევისათვის ბრძოლის საჭიროება.

კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას შეესაბამება ახალი, უფრო მაღალი ეტაპი თვით პარტიის განვითარებაში. მის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში. პარტია განუწყვეტლივ გააუმჯობესებს თავისი მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებს, რათა მასებისადმი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისადმი, საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებისადმი მისი ხელმძღვანელობის დონე შეესაბამებოდეს კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მზარდ მოთხოვნილებებს.

როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმი, პარტია წინ უნდა მიდიოდეს თავისი შინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციაშიც, გვიჩვენებდეს კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმების შემუშავების მაგალითსა და ნიმუშს.

პარტიის ცხოვრების კანონია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელად დაცვა, პარტიული მასის წინაშე პარტიული ორგანოებისა და მათი მუშაკების პასუხისმგებლობის გაძლიერება, ყველა კომუნისტის აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდა, პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება. ეს თვით პარტიის იდეური და ორგანიზაციული სიმტკიცის, პარტიული რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცების, შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარების და ამ საფუძველზე მთელი პარტიული ძალების აქტივიზაციის, მასებთან კავშირის გაძლიერების აუცილებელი პირობაა.

პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელია პიროვნების კულტი და მასთან დაკავშირებული დარღვევები ხელმძღვანელობის კოლექტიურობისა, შინაპარტიული დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერებისა. პიროვნების კულტი იწვევს პარტიისა და ხალხის მასების როლის დაკნინებას, ბოჭავს პარტიის იდეური ცხოვრების განვითარებას და მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელების, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ახალი პარტიული ძალების უფრო ფართოდ შემატების უზრუნველყოფის, ძველი და ახალგაზრდა კადრების სწორი შეხამების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ გამორიცხოს ცალკეულ მუშაკთა ხელში ძალაუფლების მეტისმეტად თავმოყრის შესაძლებლობა და თავიდან აცილებულ იქნას კოლექტივის კონტროლიდან მათი გამოსვლის შემთხვევები, პარტიას საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) შემოღებულ იქნას პრაქტიკაში სისტემატური განახლება გარკვეული პროპორციებით პარტიის ყველა არჩევითი ორგანოსი — პირველადი ორგანიზაციიდან ცენტრალურ კომიტეტამდე, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელობის მონაცვლეობა.

ყოველ მორიგ არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მეოთხედით. პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი სამი მოწვევის ვადით ზედიზედ. პარტიის ესა თუ ის მოღვაწე, მისი აღიარებული ავტორიტეტის, მაღალი პოლიტიკური, ორგანიზატორული და სხვა თვისებების გამო, შეიძლება არჩეულ იქნას ხელმძღვანელ ორგანოში ზედიზედ უფრო ხანგრძლივი ვადით. ამ შემთხვევაში სათანადო კანდიდატი არჩეულად ითვლება იმ პირობით, თუ მან დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღო ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მესამედით ყოველ მორიგ არჩევნებში, პარტიის საოკრუგო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტკომების ან ბიუროების შემადგენლობა — სანახევროდ. ამასთან ამ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი სამი ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი ორი მოწვევის ვადით.

პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში აირჩიოს ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ამ შემთხვევაში არჩევისათვის საჭიროა კენჭისყრის მონაწილე კომუნისტების ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

პარტიის წევრები, რომლებიც ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს შემადგენლობიდან გამოვიდნენ მათი იქ ყოფნის ვადის გასვლის გამო, შეიძლება კვლავ არჩეულ იქნან შემდგომი არჩევნების დროს.

დაწესდეს, რომ გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ დახურული (ფარული) კენჭისყრით იმ პირობით, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ხმას მისცემს ამ ორგანოს წევრთა მთელი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

ბ) გაფართოვდეს არჩევითობისა და ანგარიშგების პრინციპის გამოყენება პარტიულ ორგანიზაციებში თავიდან ბოლომდე, მათ შორის პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში მუშაობენ (არმია, ფლოტი).

გ) ამაღლდეს პარტიული კრებების, კონფერენციების, ყრილობების, პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და სხვა კოლექტიური ორგანოების როლი. უზრუნველყოფილ იქნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ პარტიაში თავისუფლად და საქმიანად იქნას განხილული მისი პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხები, მოიწყოს ამხანაგური დისკუსიები [illegible] მაღალ ნათელ საკითხებზე.

დ) განუხრელად შემცირდეს [illegible] აპარატი, უფრო ფართოდ მოზიდულ იქნან კომუნისტები შტატგარეშე მუშაკებად საზოგადო მოღვაწეობის წესით.

ე) ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მუშაობის ნაკადი მეთოდი, შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოვლინებისა და გამოსწორების, კადრების სწორად აღზრდის გზა.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო მაღლდება პარტიის წევრის როლი და პასუხისმგებლობა. კომუნისტი მოვალეა წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მთელი თავისი ქცევით გვიჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ ნიმუშებს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს. სკკპ თავის რიგებს შეიარაღებს ყველაზე შეგნებული და აქტიური მშრომელებით, წმიდად შეინახავს და მაღლა ატარებს კომუნისტის წოდებას.

შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს კომუნისტების აქტივობის ზრდა და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება კეთილშობილური კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის. ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მათ გამოუმუშავდეთ შინაგანი, ორგანული მოთხოვნილება ყველაფერში იქცეოდნენ და მოქმედებდნენ პარტიის პრინციპების, მისი მაღალი მიზნების სრული შესაბამისობით.

პარტია კვლავაც განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობასა და მონოლითობას, წმიდად შეინახავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშას. პარტია თავისი საშუალებების არსენალში ინარჩუნებს სკკპ წესდებით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ გარანტიებს ფრაქციულობისა და ჯგუფურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, რომლებიც შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან. **პარტიის ურღვევი იდეური და ორგანიზაციული შეკავშირება მისი უძლეველობის უმნიშვნელოვანესი წყაროა, კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია.**

ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა. **პარტია არსებობს ხალხისათვის, მისთვის სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად.** ხალხთან პარტიის კავშირის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება კომუნიზმისათვის ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობაა. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია მუდამ ეთათბირებოდეს მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, გამოჰქონდეს ეს საკითხები მთელი ხალხის განსახილველად, უფრო ფართოდ იზიდავდეს უპარტიოებს მთელ თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. რაც უფრო ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, მით უფრო ღრმა და მრავალმხრივი უნდა იყოს პარტიის მუშაობა მშრომელთა შორის, მით უფრო ძლიერი იქნება მისი გავლენა მასებში.

პარტია ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, მასების შემოქმედებითი ენერგიის, ინიციატივის განვითარებას, განამტკიცებს სსრ კავშირის ყველა ხალხის ერთიანობასა და მეგობრობას.

სკკპ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაკადი მარქსისტულ-ლენინური პრინციპები კვლავაც იქნება ურყევი პრინციპები, რომლებითაც პარტია განუხრელად იხელმძღვანელებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, განავითარებს ძმურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან, განახორციელებს თავისი მოქმედების კოორდინაციას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის ღონისძიებებთან, რათა ერთობლივად იბრძოლონ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

★ ★ ★

ასეთია კომუნიზმის მშენებლობის სამუშაოთა პროგრამა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახავს.

სსრ კავშირში კომუნიზმის აშენება კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება იქნება მთელ მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშრომელ მასებს, წარმოადგენს უდიდეს მორალურ მხარდაჭერას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აჩქარებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით.

როცა საბჭოთა ხალხი ისარგებლებს კომუნიზმის სიკეთით, დედამიწის ახალი ასეულ მილიონობით ადამიანი იტყვის: „ჩვენ კომუნიზმის მომხრენი ვართ!“. არა სხვა ქვეყნებთან ომის გზით, არამედ საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის მაგალითით, საწარმოო ძალების აყვავებით, ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ყველა პირობის შექმნით კომუნიზმის იდეები ეუფლებიან ხალხის მასების გონებასა და გულს.

საზოგადოებრივი პროგრესის ძალები გარდუვალად გაიზრდებიან ყველა ქვეყანაში, და ეს იქნება საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობისათვის მხარდაჭერა.

პარტია ემყარება მარქსისტულ-ლენინურ დებულებას: ხალხი ისტორიის შემოქმედია, კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე, და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს სიუხვე და საამური ცხოვრება მოაქვთ ყველასათვის, კიდევ უფრო ზრდიან საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას, ღირსებასა და სახელს.

პარტია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ადამიანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას შეხვდებიან როგორც თავიანთ მშობლიურ, ღვიძილ საქმეს, როგორც თავიანთი ცხოვრების უდიდეს მიზანს და კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დროშას. პარტია მოუწოდებს ყველა კომუნისტს, მთელ საბჭოთა ხალხს — მუშებს, კოლმეურნეებს, გონებრივი შრომის მუშაკებს — თავიანთი ძალები მოახმარონ იმას, რომ წარმატებით შესრულდეს პროგრამაში დასახული ისტორიული ამოცანები.

**კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი.**

**პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.**

**პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**

# ფართოდ და ღრმად გავუწიოთ პროპაგანდა სკკპ პროგრამის პროექტს

(დასასრული)

გავიდა მისი გამოქვეყნების დროიდან და საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, ჯარის ნაწილებში უკვე გაიშალა ამ ისტორიული დოკუმენტის მხურვალე განხილვა. საბჭოთა ადამიანებს სკკპ პროგრამის პროექტი მიაჩნიათ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების, თავიანთი მისწრაფებისა და იმედების გამოხატულებად და ამიტომ ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან მას.

რესპუბლიკის ბევრ სამრეწველო საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მშრომელნი ეცნობიან სკკპ პროგრამის პროექტს და მხურვალედ იწონებენ მას, კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად. მაგალითად, რუსთავის მეტალურგები გაეცნენ პროგრამის პროექტს და იკისრეს ვალდებულება წინათ ნაკისრ ვალდებულებების გადამეტებით მისცენ ჩვენს ქვეყანას ასობით ტონა ფოლადი და აითვისონ ყრილობის გახსნის დღისათვის ახალი მარკის მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოშვება. ასეთივე მხურვალე გამოხმაურება შრომითი საქმეებით გამოიწვია პროგრამის პროექტმა საქართველოს სხვა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პარტიული ორგანიზაციები, აღნიშნავს ამბ. მჟავანაძე, სათათბიროზე უნდა ჩაუდგნენ მასების მზარდ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას და წარმართონ იგი შვიდწლედის მიმდინარე წლის სახალხო სამეურნეო გეგმების უთუო შესრულებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენ დიდი რწმენით, პათოსით, მგზნებარებით და სულით და გულით უნდა განვუმარტოთ ფართო მასებს ჩვენი დიადი პარტიის ახალი პროგრამის მთელი არსი, მთელი სიდიადე. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა და განსაკუთრებით მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სკკპ პროგრამის პროექტის პრობაგანდის ღონისძიებათა შესახებ. პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცით მოაწყონ პროგრამის ფართო განხილვა კომუნისტების სპეციალურ ან საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონფერენციებზე. სკკპ პროგრამის პროექტს განიხილავს საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დროზე განაზოგადონ წინადადებანი და შენიშვნები პროგრამის პროექტის გამო, რომლებიც შემოდის პარტიული ორგანიზაციებისაგან, ცალკეული კომუნისტებისა და მშრომელებისაგან.

პროგრამის პროექტის განმარტება და განხილვა უნდა წარმოებდეს არა მარტო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე, არამედ აგრეთვე ყველა მშრომელს შორის — საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პარტიული კომიტეტების მომხსენებლებს, პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, მეცნიერ მუშაკებს. აგიტპუნქტებმა, ბიბლიოთეკებმა, კულტურის სახლებმა, კლუბებმა, წითელი კუთხეებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მთელი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ უნარიანად, გასაგებად და ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას პარტიის ახალი პროგრამის პროექტი. პროფესორ-მასწავლებლთა შემადგენლობის საპატიო მოვალეობაა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკკპ-პროგრამის პროექტისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის ფართოდ განმარტებაში ახალგაზრდობისათვის.

უახლოეს დღეებში მოეწყობა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივთა და აგიტპუნქტთა ხელმძღვანელების, პარტიულ კომიტეტთა შტატსა და შტატგარეშე ლექტორების საქალაქო და რაიონული თათბირსემინარები სკკპ პროგრამის პროექტის ფართო პროპაგანდის ორგანიზაციის საკითხზე. პროგრამის პროექტის განმარტებაში პარტიული კომიტეტებისათვის დახმარების გაწევის მიზნით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში იგზავნებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და სპეციალური პროპაგანდისტული ჯგუფები.

სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შესრულოს პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ. საჭიროა ყოველდღიურად გამოქვეყნდეს პრესაში და გადაცემულ იქნეს რადიოთი და ტელევიზიით გამოხმაურებანი, საუბრები, გამოსვლები და კომენტარები, რომლებიც განმარტავენ სკკპ პროგრამის პროექტს.

სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდა, მისი განხილვა და ღრმად შესწავლა, თქვა დასასრულ ამბ. მჟავანაძემ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური, შეუნელებელი ყურადღება უნდა დაუთმონ. (საქდესი).

# რუმინეთის დელეგაცია მოსკოვში

**მოსკოვი,** 1 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, დღეს ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინი შეამკო.

1 აგვისტოს კრემლში დაიწყო სკკპ და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟთან და რუმინეთის დელეგაციის სხვა წევრებთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და ძმური ურთიერთგაგების ვითარებაში. მოლაპარაკების მსვლელობაში შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის საკითხთა ფართო წრეს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. საუზმის დროს, რომელმაც გულითადი, ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და გეორგე გეორგიუ-დეჟმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნაშუადღევს რუმინეთის დელეგაცია გეორგე გეორგიუ-დეჟის მეთაურობით ეწვია პირველ სახელმწიფო საკისრის ქარხანას. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის მრავალთასიანი მიტინგი.

# მშვიდობისა და ბედნიერების პროგრამა

## საქართველოს მშრომელთა გული ანთებულია ერთი მიზნით: ყველაფერი გააკეთონ კომუნიზმის დიდებული შენობის ასაგებად

**კომუნისტური** საზოგადოების აშენება საბჭოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. სოციალიზმის თანდათანობითი გადაზრდა კომუნიზმად ობიექტური კანონზომიერებაა; იგი მოამზადა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მთელმა წარსულმა განვითარებამ.

**რას წარმოადგენს კომუნიზმი?**

**კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებანი ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითთეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითთეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნიზმი თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითთეულის უნარი გამოყენებულ იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.**

## ასე ვიზრდებით ასე ვმაღლდებით!




## ღრმად გავაცნოთ მასებს

**მოსკოვი, 31 ივლისი. (საკადესი).** პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დღეს მიიღო დადგენილება სკკპ პროგრამის პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ახალი პროგრამის განხილვა და მიღება პარტიის მომავალი ყრილობის მიერ იქნება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. ახალი პროგრამა, შემოქმედებითად ავითარებს რა დიად მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის შენებლობის გამოცდილების, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობის გამარჯვებათა საფუძველზე განსაზღვრავს კომუნიზმის ნათელი შენობის აგების კონკრეტულ გზებს, სახავს საბჭოთა ქვეყნის განვითარების შესანიშნავ პერსპექტივას უახლოესი 20 წლისათვის. კომუნისტური შენებლობის ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საბჭოთა პროფკავშირებს.

თავის გადაწყვეტილებაში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა: პროფკავშირების საბჭოებს, პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ფართოდ განუმარტონ შრომელებს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების და სასწავლებლების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე სკკპ პროგრამის პროექტი. თეორიული საკითხები მკიდროდ უნდა დაუკავშირონ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების ცხოვრებას, კონკრეტულ ამოცანებს.

კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებსა და ბიბლიოთეკებში უნდა მოაწყონ ლიტერატურის გამოფენები, ფოტოვიტრინები, მიძღვნილი პარტიის პროგრამის პროექტისადმი; უნდა გამართონ თემატიკური საღამოები, ზეპირი ჟურნალები, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ლიტერატურას სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ. პროფგამომცემლობას დაევალა გამოუშვას პოპულარული ბროშურები და პლაკატები, რომლებიც ასახავენ პროფკავშირების როლს კომუნიზმის მშენებლობაში.

პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ აღმფრთოვანებელი პერსპექტივები, რომლებსაც პარტია ჩვენი ქვეყნის წინაშე სახავს უახლოესი 20 წლისათვის, გააცნონ თითოეულ საბჭოთა ადამიანს.

## მომავლის დიდი აზრი

**ნ. კეცხოველი,**
**აკადემიკოსი**

**კომუნისტური** პარტიის პროგრამაში სხვა გრანდიოზულ მიზნებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთა შორის მეგობრობასა და ძმობას, ბრძოლა აქვს გამოცხადებული რასობრივ დისკრიმინაციას.

ამ მოწინავე იდეალების განსახორციელებლად კი საჭიროა პატიოსანი, შემოქმედებითი შრომა საზოგადოების სასარგებლოდ. უამისოდ შეუძლებელია შეიქმნას ნათელი მომავალი. ამიტომ შრომა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც ადამიანად ითვლება, ვისაც ნამუსის ქუდი ხურავს, ვისაც სწამს კაცობრიობის ნათელი მომავალი, თუ ეს რწმენა არა აქვს, არც კაცია კაცი. გარდა შრომისა, ადამიანისათვის საგალდებულოა პატივს სცემდეს ოჯახს, ზრუნავდეს ბავშვების აღზრდაზე, რადგან ოჯახი ადამიანთა ნორმალური განვითარების საფუძველია, ბავშვების აღზრდაზე დამოკიდებულია მსოფლიოს ნათელი მომავალი. მომავალი ადამიანი კი უნდა გაიზარდოს ადამიანთა ურთიერთ პატივისცემის იმ პრინციპზე, რომ ადამიანი ადამიანის მეგობარი, ამხანაგი და მოძმე უნდა იყოს; მხოლოდ მაშინ შეიძლება ერთა შორის ურთიერთ გაგება, ერთა შორის ურთიერთ პატივისცემა. პროგრამა ამ საკითხებსაც აყენებს და სხვა დებულებებთან ერთად ეს ისეთი დებულებებია, რომლებიც სახავს ახალ გზებს უფრო მეტი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

**ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს.**

**სურათებზე:** (ზევით) თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშები ლუიზა სამადალაშვილი (მარცხნივ) და იამზე ქენქანძე შესვენების დროს, (ქვევით) თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის № 3 სამგზავრო სავაგონო საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ცაგარეიშვილი ბრიგადის წევრებს აცნობს ისტორიულ დოკუმენტს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგობიანი.

## თანამედროვეობის უდიდესი ძალა

**შ. აბრამიშვილი,**
**მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროს მარგანეცის მნგრეველ-მტვირთავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

**ყოველ** დღეს ახალი სასიხარულო ამბები მოაქვს. ჩვენ, ჭიათურელი მაღაროელები, გულდასმით ვეცნობით და მხურვალედ ვიწონებთ პარტიის ახალი პროგრამის პროექტის ყოველ სტრიქონს. პროექტში მოცემულია კაცობრიობის ნათელი და უტყუარი გზა.

პროექტი გამსჭვალულია პარტიის მამობრივი ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. ამ ზრუნვას ჩვენ ვუპასუხებთ შრომითი მამაცობით, რადგან კარგად ვიცით, რომ კომუნიზმი თავისთავად როდი მოვა, იგი შეუპოვარი და თავდადებული შრომით, ჩვენი მარჯვენით შენდება.

ჩვენი მაღაროს კოლექტივმა, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს რესპუბლიკაში პირველ ადგილსა და გარდამავალ წითელ დროშას, უკვე შეასრულა აგვისტოს პირველი ნახევრის დავალება. კვლავაც უკეთ ვიმუშავებთ, ღირსეულად შეეგებებით პარტიის XXII ყრილობას.

## გამარჯვების ნიშანსვეტი

**მახარაძე. (სპეც. კორ.).** — რა ბედნიერია ჩვენი ხალხი! პარტია ყველაფერს აკეთებს ადამიანის კეთილდღეობისათვის, — თქვა სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა სევერიანე მუხაშავრიამ, სკკპ პროგრამის პროექტს რომ გაეცნო.

— პროგრამის პროექტი სახავს კომუნიზმისაკენ სოფლის წინსვლის პერსპექტივებს, აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის აღმავლობის გზებს.

— არ უნდა დავიშუროთ ძალღონე, — ამბობს ამხ. მუხაშავრია, — რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. კოლმეურნეობამ მაის-ივნისში სასახელოდ იმუშავა, ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა, რისთვისაც პარტიის გენიჩესკის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ძიმითელ კოლმეურნეთა ვალდებულება იყო წელს მოგვეკრიფა 1.284 ტონა ჩაის ფოთოლი, უკვე მოვკრიფეთ 900 ტონაზე მეტი, გადავწყვიტეთ სეზონის დამლევამდე საბელმწიფოს მივყიდოთ 1.300 ტონა „მწვანე ოქრო“.

— ახალი პროგრამის პროექტის განხილვაში, — განაცხადა ცნობილმა მესიმინდემ კ. ანდღულაძემ, — მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს. მე, რიგით ადამიანს, უფლება მაქვს გამოვთქვა ჩემი აზრი. ყოველწლიურად სიმინდის უხვი მოსავალი მოგყავს. წელს ჰექტარზე 170 ცენტნერი სიმინდის მოყვანა ვიკისრე. ნათესებს კარგი პირი უჩანს. სიტყვას არ გავიხ.

— უდიდესი სიხარული განგვაცდევინა სკკპ პროგრამის პროექტმა, — თქვა სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. ბურჯულაძემ. — პროექტში ჩაქსოვილია პარტიის კოლექტიური აზრი, იგი განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებსა და ძირითად ეტაპებს.

პარტიის უმაღლესი მიზანია აშენოს კომუნისტური საზოგადოება, რომლის დროსაც აწერია: „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“.

ეს სიტყვები ღრმად ჩაგვწვდა გულში. საბჭოთა ადამიანები არ დაიშურებენ ენერგიას კომუნიზმის დიადი მშენებლობისათვის, კომუნიზმი თვითეული ჩვენგანის პრაქტიკული საქმე გახდა.

## მიზანი ახლოა

**თამარ ყუფუნია,**
**ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.**

**სოციალიზმმა** რიგით ადამიანს მისცა არა მარტო თავისუფალი შრომის, დასვენების, კულტურული ცხოვრების, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის სრული შესაძლებლობა.

პირადად მე, გლეხის შვილი, შრომამ გამომიყვანა ცხოვრების სარბიელზე. 1930 წლიდან დავიწყე მუშაობა კოლმეურნეობაში. ვმუშაობ ბრიგადირად. 1947 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის და 1950 წელს ჩაის კრეფის დარგში მიღწეული დიდი წარმატებისათვის მიღებული მაქვს ორგზის სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ხალხმა ამირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ვარ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

აი სადამდე შეიძლება ამაღლდეს ჩვენს ქვეყანაში მშრომელი ადამიანი.

ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წლითიწლობით ზრდის ჩაის ფოთლის, ტუნგოს, აბრეშუმის პარკის, სიმინდის მოსავლიანობას. საკმარისია ითქვას, რომ 1960 წელს ბრიგადამ მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარა 103 ტონა ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90 ტონისა, საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანეთ 8,523 კილოგრამამდე.

ბრიგადის წევრები გულმოდგინედ ეცნობიან კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს, ამ ისტორიული დოკუმენტის სიბრძნით აღფრთოვანებულ კოლმეურნეებს ახალი ძალა შეემატათ. ჩვენ მზად ვართ შვიდწლედის მესამე წელს დიდი გადაჭარბებით შევასრულოთ გადიდებული ვალდებულებანი.

ჩვენი ბრიგადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას სასახელო შრომითს წარმატებებს უპატაკებს, ეს იქნება ჩვენი მადლობა, ჩვენი საჩუქარი დიდი ლენინის პარტიისადმი.

## გული მღერის

**ი. ს. ფრანგულიანი,**
**სკკპ წევრი 1905 წლიდან.**

**ბოლშევიკური** პარტიის ძველი გვარდიის წარმომადგენლებს განსაკუთრებით გვახარებს, გვალალებს დიდი ლენინის მიერ შექმნილი სახელმწიფოს, მისი ხალხის ყოველი ახალი წარმატება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. კითხულობთ პროექტის ტექსტს, და გული სიამით ევსებათ, მასში ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნულია ის დიდებული გზა, რაც გაიარა ჩვენმა სახელოვანმა პარტიამ პირველი პრორგრამის მიღებიდან დღემდე, მოცემულია გენიალური შეფასება ჩვენი ეპოქისა, რომლის ცენტრში დგას საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. არ შეიძლება არ იგრძნო შინაგანი კმაყოფილება, დიდი სიხარული, როცა ეცნობი პროგრამის პროექტის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებზე.

მთელმა იმ სანუკვარმა და საოცნებო იდეალებმა, რაც ჩვენ წაგვიკითხავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში, განხორციელება ჰპოვა. ისტორიაში პირველად კონკრეტულად დასმულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლების შექმნისა და განვითარების ამოცანა მსოფლიოს ერთერთ უდიდეს ქვეყანაში.

ბედნიერია რევოლუციური გვარდიის ყველა ის წარმომადგენელი, რომელიც მოესწრო ამ დიდებულ დღეს.

კიდევ უფრო ბედნიერია ის, ვინც საკუთარი ხელით აშენებს და სინამდვილედ აქცევს კაცობრიობის ამ სანუკვარ ოცნებას.

## ჩვენი სიხარული, ჩვენი ბედნიერება

**ოსანა აივაზაშვილი,**
**ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი.**

**ჯერ** რადიოთი, შემდეგ კი გაზეთებით გულდასმით გავეცანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს და ისე მგონია, ძალღონე მომემატა, ავმაღლდი, გავიზარდე...

დიან, ასეა, და სხვაგვარად არც შეიძლება, როცა ჩვენი დიადი პარტიის ამ ბრძნულ დოკუმენტს კითხულობ.

გუშინდელივით მახსოვს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები. მაშინ გაჭირვებას, უსახსრობას განგიცდიდით, ახლა კი, აბა დაუკვირდით, კომუნიზმს ვაშენებთ! ისტორიისათვის საოცრად მოკლე მონაკვეთში ისე ვიბარჯვეთ, ისე წარვმართეთ საქმე, რომ სოციალიზმი ხელშესახები გავხადეთ და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შევედით.

ეს კომუნისტური პარტიის ტიტანური მოღვაწეობის შედეგია, იმ დიადი ლენინური პარტიის მოღვაწეობის შედეგია, რომლის ყოველისმძლე იდეებსაც ერთსულოვნად მიჰყვება მშრომელი ხალხი.

რას გვეუბნება პარტია თავისი პროგრამის იმ პროექტით, რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ჩვენ ამ დიდი პარტიული დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ?

პირველად ყაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ პროგრამაში დასახული კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა.

ჩვენს ქისტაურის კოლმეურნეობაში ადამიანები კომუნისტური სულისკვეთებით, თავდადებით შრომობენ ხვავისა და ბარაქის შესაქმნელად, იბრძვიან იღისათვის, რომ ყოველდღიურად განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა, ისე მოაწყონ შრომა და ცხოვრება, როგორც ამას მშობლიური კომუნისტური პარტია შთააგონებთ.

პირადად მე წლების მანძილზე გარკვეულ წარმატებებს ვაღწევ აბრეშუმის პარკის მოყვანის საქმეში. დაუღალავმა შრომამ ჩვენი სოფლის კოლმეურნეებთან ერთად წინათ შეუმჩნეველ, უბრალო სოფლელ ქალს შორს გამოეჭვა სახელი. კარგად ვიცი, რომ ეს პარტიის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტმა უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობები აღმძრა.

მადლობა მშობლიურ პარტიას ასეთი ბრძნული და მომწოდებელი მიზანდასახულობისათვის!

## მადლობის გრძნობით

**ჟუთაისი. (საკ. კორ.).** ყველა მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით, თავის მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო მადლობის გრძნობით შეხვდა სკკპ პროგრამის პროექტის გამოქვეყნებას. საწარმოებში და ახალმშენებლობებზე იმართება გაცხოველებული საუბრები. მშრომელები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებსა და გულისნადებს ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტზე.

ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის საჩეჩ-სართავი საამქროს უფროსმა ოსტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა ტ. გვარამაძემ განაცხადა:

— ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი გამსჭვალულია ხალხის ბედნიერებისა და სიკეთისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეებით, მიმართულია იქითკენ, რომ მთლიანად განხორციელდეს პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

## დიდებული პროგრამა

**ბ. მელქაძე,**
**მეტალურგი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.**

**მშობლიური** კომუნისტური პარტიის დიდებული პროგრამის პროექტი ზეტაფონელმა მეტალურგებმა რადიოთი მოვისმინეთ, ხოლო შემდეგ გულდასმით გავეცანით გაზეთებში. ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ ბრძნული პროგრამის პროექტს, რომელშიც შემოქმედებითად გამოხატულია პარტიის კოლექტიური აზრი.

ამ ღირსსახსოვარ დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა ჩვენს ქარხანაში. უკვე შეასრულეთ აგვისტოს პირველი დეკადის დავალება, სამშობლოს გეგმის გადამეტებით ვაძლევთ ძვირფას შენაძენობს, რითაც საკუთარი წვლილი შეგვაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტით აღფრთოვანებული მეტალურგები ახალ საწარმოო სიუჟეტებს ვუმზადებთ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

## ერთა ძმობა

**ბ. ბ. ბოლქვაძე,**
**ბ. ბ. ბოლქვაძის სახელობის ბაკურიანის ტყეთმცოდნეობის ტექნიკუმის დირექტორი.**

**ბ. ბ. ბოლქვაძე.** — ეს ბიოგენეტიკოსი, ბოტანიკოსი, ტყეთმცოდნე, ბაკურიანელ ტყეთმცოდნეთა ტექნიკუმის ერთ-ერთ ინიციატორ, ბ. ბ. ბოლქვაძე, ბ. ბ. ბოლქვაძის სახელობის ბაკურიანის ტყეთმცოდნეობის

# ჩვენი ეპოქის ყველაზე შესანიშნავი, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

## ასე აფასებს მსოფლიო საზოგადოებრიობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს

### ვარშავა

ვარშავა, 30 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ტრიბუნა ლუდუ“ დაბეჭდა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი. ეს პროგრამა, ნათქვამია ცნობაში, უეჭველია, იქნება საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი. სკკპ მომავალმა ყრილობამ უკვე მიიღო საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის სახელწოდება, პროგრამა კი, რომელსაც იგი მიიღებს, იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მთელი პროცესის თეორიული საფუძველი.

ცნობაში აღნიშნულია, რომ პარტიის პროგრამის პროექტი სახავს საბჭოთა კავშირის განვითარების უახლოესი 20 წლის პერსპექტივებს. ეს იქნება წლები, როცა საბჭოთა კავშირი ეკონომიურად გაუსწრებს და შორს ჩამოიტოვებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ საერთო მოცულობას.

### სოფია

სოფია, 30 ივლისი. (საკდესი). „კომუნიზმის დიადი ქარტია“, — ასეთი სათაურით დაბეჭდა დღეს ბულგარეთის დედაქალაქის ყველა გაზეთმა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს მოსკოვიდან მიღებული ცნობა სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ.

ცნობაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „უზარმაზარი ქვეყანა ცხოვრობს დიადი და სახიხარულო მოვლენის — სკკპ XXII ყრილობის მოლოდინში“, რომელიც პარტიის პროგრამას დაამტკიცებს, რომ პროგრამა ნიშნავს „ახალ ეტაპს კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ წინსვლაში“.

გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ რედაქცია ატყობინებს მკითხველებს, რომ 31 ივლისს გაზეთში დაიბეჭდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი.

### ბერლინი

ბერლინი, 30 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას, რომ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც შეაქვთ სკკპ მომავალი XXII ყრილობის განსახილველად და დასამტკიცებლად. „ნოიეს დოიჩლანდი“ პროგრამის პროექტს ახასიათებს როგორც „სკკპ და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიულ დოკუმენტს“.



### ჰავანა

ჰავანა, 2 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. ივანიკოვი იუწყება: გმირი კუბელი ხალხი მოუთმენლად ელოდა მოსკოვიდან ცნობებს სკკპ ახალი პროგრამის პროექტის შესახებ. კუბის რადიომ და ტელევიზიის სადგურებმა როგორც კი მიიღეს ამ დოკუმენტის შინაარსი, დაიწყეს მისი ნაწყვეტების გადაცემა და ამ ისტორიული დოკუმენტის კომენტირება. ცნობები პროგრამის პროექტის შესახებ იმის გამო, რომ გვიან მოვიდა, ვერ გამოაქვეყნეს ჰავანის კვირის გაზეთებმა.

მაგრამ 1 აგვისტოს, სკკპ პროგრამის პროექტი ჰავანის გაზეთების უყრადღების ცენტრში იყო. „სოციალიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში საბოლოოდ აღმოფხვრის ომების ეროვნულ და სოციალურ მიზეზებს“, „უახლოეს ათწლეულში სსრ კავშირი იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა“ „სოციალისტური სისტემის ტრიუმფი“, „მხოლოდ მასებთან მჭიდროდ შეკავშირებულ პარტიას შეუძლია მოპოვებინოს ხალხს საყოველთაო გამარჯვება“, „სსრ კავშირის გამოცდილებამ დადასტურა, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება“, — ასეთ სათაურებს უკეთებენ გაზეთები „დიარიო დელა პრენსა ლიბრე“ და „კალე“ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ტექსტს.

სკკპ პროგრამის პროექტმა გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია კუბის პრესაში. კუბის გამოცდილება მთელი სისრულით ადასტურებს პროგრამის პროექტის დასკვნებს იმის შესახებ, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „კომბატე“, რომ იმპერიალიზმი არ იცნობს სახელმწიფოთა სხვა ურთიერთობას, გარდა იმისა, რომ ძლიერი ბატონობდეს, იმორჩილებდეს და ჩაგრავდეს სუსტს. ჩვენმა საკუთარმა გამოცდილებამ დაგვანახვა, წერს შემდეგ გაზეთი, რომ ჩვენი სოციალისტური რევოლუციის განვითარების პირობებში მუშათა კლასის შინაური მტერი უკვე უძლურია რაიმე სერიოზული ომრობა მიიტანოს რევოლუციის წინააღმდეგ; მხოლოდ ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს გაძნელოს და ბოლოს და ბოლოს ჩაშალოს ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ღონისძიებანი ახალი, უფრო სამართლიანი საზოგადოების აშენებაში, სადაც არ იქნებიან არც ექსპლოატატორები, არც ექსპლოატირებულნი.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხთა მშვიდობის, თანასწორობის, თვითგამორკვევის და სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები, „სავსებით ემთხვევა ჩვენი ხალხის, ჩვენი მთავრობის ინტერესებსა და საბოლოო მიზნებს“.

### ნიუ-იორკი

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტმა ყოველკვირეული გაზეთის „ნეიშნლ გარდიანის“ რედაქტორს ჯეიმს არონსონს სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ.

„მხოლოდ უაღრესად გონებაჩლუნგ დამკვირვებლებს, — განაცხადა ჯეიმს არონსონმა, — შეუძლიათ დაინახონ პროგრამის პროექტში რამე, გარდა მოწოდებისა ხალი აზროვნებისა და არსებობის შენარჩუნებისათვის. ეს კი ჩვენი დროის ძირითადი პრობლემებია.

იმ ამერიკელებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ არსებულის შენარჩუნებას ამ პოლიტიკას, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაგლეჯონ მტრობისა და სინამდვილის დამახინჯების ფარდა, რაც შექმნეს მთავრობამ და პროპაგანდის საშუალებებმა, და შესაძლებლობა მისცენ ამერიკელებს დაინახონ, რომ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა ხისლისა და ცრემლების პერსპექტივისა, რომელსაც მათ სთავაზობენ.

თანაარსებობისათვის საჭიროა ორი მხარე. საკმარისი არ არის ერთი მხარის თუნდაც უაღრესად დიდი კეთილმოსურნეობა. ახლა მთავარი პრობლემაა დაჯერონ ვაშინგტონი, რომ ყოველგვარი პოლიტიკა, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა, ნგრევის გზაა.

ეს უწინარეს ყოვლისა ამერიკელების ამოცანაა. მაგრამ ამ ამოცანას აადვილებენ განცხადებანი, რომლებსაც პროგრამის პროექტი შეიცავს“.

### კაირო

კაირო, 30 ივლისი. (საკდესი). კაიროს დილის გაზეთები „ალ-აჰრამი“, „იჯიპშნ გაზეტი“, „ეჟურნალ დ' ეგიპტი“ და სხვები ბეჭდავენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამოქვეყნების შესახებ. გაზეთები ამ ცნობებს ბეჭდავენ თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურით, გამოჰყოფენ ცალკეულ ნაწილებს. „ალ-აჰრამი“ ყურადღებას მიაპყრობს პროგრამის პროექტის იმ ნაწილს, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარებისადმი უახლოესი 20 წლის მანძილზე. როგორც „იჯიპშნ გაზეტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, სკკპ პროგრამის პროექტში ლაპარაკია „კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ისტორიული გარდუვალობის შესახებ“, აგრეთვე ხაზგასმულია, რომ „მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი იდეური იარაღი“ და რომ „სოციალიზმის სამყარო ფართოვდება, კაპიტალიზმის სამყარო ვიწროვდება“. „ეჟურნალ დ' ეგიპტი“ ეხება პროგრამის პროექტში დასახული ამოცანებს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის დარგში.

### ტოკიო

ტოკიო, 31 ივლისი. (საკდესი). კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდებულმა პროგრამამ, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამის გამოქვეყნებულ პროექტში, უცხოელესი ინტერესი გამოიწვია იაპონიის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში. ახალი პროგრამა, წერს გაზეთი „სანკეი სიმბუნი“, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმიტომ, რომ მასში პირველად მარქსისა და ლენინის დროიდან ნათლად და კონკრეტულად აღნიშნულია კომუნიზმში გადასვლის გზები ცხოვრების ეკონომიურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სხვა დარგებში, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში.

„რუსეთმა განაცხადა მსოფლიო“, „მშვიდობისა და სიუხვის გიგანტური გეგმა“, „აი კომუნისტური მომავალი!“

...მთელ პირველ გვერდზე ასეთი სათაურები აქვს გამოცემული ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერის“ იმ ნომერს, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შინაარსის გადმოცემისადმი. ასეთივე სათაურებს ნახავთ ახლა ხუთივე კონტინენტის გაზეთებში. ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

**საბჭოთა ადამიანების უკვე ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**

**კომუნისტური საზოგადოების აშენების ისტორიული დოკუმენტი.**

(„რუდე პრავო“, ჩეხოსლოვაკია).

**სიხარულის დღე ყველა ხალხისათვის.**

(„ნოიეს დოიჩლანდი“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

**მარქსისტული აზრის მონუმენტი.**

(„ფიგარო“, საფრანგეთი).

**მოსკოვი ვარაუდობს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას ახლანდელი საუკუნის დამლევამდე.**

(„ოვასიონესი“, მექსიკა).

**მშვიდობა და სიუხვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის ძირითადი შინაარსია.**

(„იჯიპშნ გაზეტი“, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა).

**საბჭოთა კავშირის გიგანტური ნახტომი წინ. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის დროშას აფრია: „მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა და აყვავება“.**

(„ანექსარტიტოს ტიპოსი“, საბერძნეთი).

**რუსეთი ბეგმავს ომების ლიკვიდაციას.**

(„დეილი გრეფიკი“, განა).

## ეს მოვავლის ნათელი პროგრამაა

**რომი**, 30 ივლისი. (საკდესი). იტალიის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს.

გაზეთი „უნიტა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლოდინი, რომელიცაა ამ პროექტის მომავალი გამოქვეყნების გამო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, აგრეთვე კაპიტალისტურ სამყაროში, უკვე ამ დოკუმენტის პირველი გაცნობის შემდეგ, უაღრესად გამართლებული აღმოჩნდა“.

„მართლაც, — აღნიშნავს გაზეთი, — პროგრამამ შორს ჩამოიტოვა ყველაზე გაბედული მოლოდინი თეორიულ დებულებათა ფორმულებაში, იმ ახალი პრინციპების განსაზღვრაში, რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყონ სოციალისტური დემოკრატიის ყველაზე ფართო და სრული განვითარება ყველა დონეზე, იმ ღონისძიებათა ჩამოთვლაში, რომლებიც შეუქმნიან საბჭოთა ხალხს უფრო მაღალ დონეს ყოველ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ნამდვილი „მორალის კოდექსის“ შექმნაში“.

გაზეთი „ავანტი“ გამოყოფს პროგრამის დებულებას, რომელიც ეხება სახელმწიფოს თანდათანობით კვდომას, და ხაზს უსვამს, რომ ამ მთავარი თეზისიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც „სოციალისტური დემოკრატიის გარანტია“.

ამასთან ერთად იტალიის ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ შეასუსტონ შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ ამ დოკუმენტმა, ან თუნდაც სიეუჭვო გახდონ, რომ შეიძლება ამ დიადი პროგრამის შესრულება. რომის გაზეთი „ტემპო“, მაგალითად, პროგრამის დებულებებს უწოდებს „გასაოცარ დაპირებებს“.

## ი. ა. გაგარინი გრაზილიაში

სან-პაულო, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს იური გაგარინი, რომელიც ბრაზილიაში იმყოფება პრეზიდენტ ჟანიო კუადროსის მოწვევით, ჩამოვიდა ბრაზილიის უდიდეს სამრეწველო ცენტრში — ქალაქ სან-პაულოში.

ქალაქის მცხოვრებნი გულითადად შეხვდნენ მსოფლიოში პირველ კოსმონავტს. როცა გაგარინი დაეშვა თვითმფრინავის ტრაპიდან, აეროდრომზე გაისმა შეძახილები: „ბრავო! ბაშა! გაუმარჯოს გაგარინს!“

მრავალი კორესპონდენტი, ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელნი შემოეხვივნენ გაგარინს, ცდილობდნენ მაშინათვე მიეღოთ მისგან ინტერვიუ.

ი. ა. გაგარინი და მისი თანმხლები პირები ძლივსძლივობით მივიდნენ მანქანებთან პოლიციის დახმარებით და გაემართნენ ქალაქის ცენტრში სასტუმროში.

## ვენეტ დაქის განცხადება

**აზიისა და აფრიკის ქვეყნები მოითხოვენ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევას**

**ნიუ-იორკი**, 1 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელთა ჯგუფის გუშინდელი დახურული სხდომის შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენეტ დაქმ (განა) განაცხადა, რომ მიღებული გადაწყვეტილება მოითხოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევა, რათა განიხილოს ტუნისის საჩივარი ბიზერტის ოკუპაციასთან დაკავშირებით საფრანგეთის აგრესიის გამო.

უკვე შეგროვებულია 21 ხელმოწერა 50-დან, რაც საჭიროა საგანგებო სესიის მოწვევისათვის. დაძმ განაცხადა, რომ ჯგუფს იმედი აქვს, პეტიციას ხელს მოაწერს საჭირო რიცხვი 2 აგვისტოსათვის.

## ბიზერტის ამბები

**ტუნისი**, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბიზერტიდან იუწყებიან, საფრანგეთის სამხედრო ხომალდები კვლავ უწევენ კონტროლს ყურეს. საფრანგეთის რამდენიმე სამხედრო ხომალდი შეამჩნიეს ღია ზღვაში სუსისა და კერკენის კუნძულების მახლობლად.

30 ივლისს საფრანგეთის არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა აინ-დრაჰამის რაიონის სოფელ ბუ რიჰას (ალჟირ-ტუნისის საზღვარი).

იუწყებიან აგრეთვე, რომ საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავებმა ბეჟჟერ დაარღვიეს ტუნისის საჰაერო სივრცე.

**ტუნისი**, 1 აგვისტო. (საკდესი). ტუნის-აფრიკ პრესის სააგენტომ გამოაცხადა დღეს, რომ ფრანგმა პარაშუტისტებმა დაიკავეს ნორვეგიის ბიზერტის საკონსულო, ამასთან დაუშვეს ნორვეგიის ეროვნული ალმი და აღმართეს საფრანგეთის ალმი.

სააგენტოს მიაჩნია ეს მოქმედება „მეტად სეროზულ მოქმედებად“, რაც ჩაიდინეს „ტუნისის ტერიტორიაზე უცხოელთა ჯარებმა, რომლებიც მარტო იმას კი არ დასჯერდნენ, რომ მოახდინეს ტუნისის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია“, არამედ ამავე დროს უხეშად თელავენ არსებულ დიპლომატიურ ტრადიციებს.

**ტუნისი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს ქალაქ ბიზერტის მერმა რაშიდ ტერესმა გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც განაცხადა: ქალაქის მდგომარეობა კვლავ სერიოზულია იმის გამო, რომ საფრანგეთის ჯარები, რომლებმაც მოახდინეს ქალაქის ევროპელი ნაწილის ოკუპაცია, ქალაქის კომუნიკაციებსა და კომუნალურ მეურნეობას აყენებენ. ქალაქს კვლავინდებურად არა აქვს წყალი და ელექტროენერგია. „ქალაქის ცხოვრება, — განაცხადა მან, — ვერ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, სანამ საფრანგეთის ჯარებს მთლიანად არ გაიყვანენ. ტუნისელთა მიზანი საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენი, ბიზერტის მცხოვრებთა მიზანი ის არის, რომ მთლიანად გაიყვანონ საფრანგეთის ჯარები ტუნისის ტერიტორიიდან“.

ტერესმა თქვა, რომ ბიზერტის ევროპული ნაწილის თითქმის მთელმა ტუნისელმა მოსახლეობამ — დაახლოებით 15 ათასმა კაცმა — დატოვა ქალაქი.

## ვაჟას იუბილე პეკინში

**პეკინი**, 31 ივლისი, (საკდესი). **დღეს პეკინში ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების, ჩინელ მწერალთა კავშირისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს.**

**მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სხდომაზე გააკეთა ჩინელ მწერალთა კავშირის საბჭოს წევრმა პოეტმა ტიან ძიანმა.**

**ამერიკის შეერთებული შტატები. ფორტ ბრაგა ჩრდილოეთ კაროლინის შტატში. აქ სპეციალურ, სავსებით საიდუმლო „სკოლაში“ ამზადებენ ეგრეთწოდებულ „პარტიზანებს“. ისინი სწავლობენ იმის საშუალებებსა და ხერხებს, თუ როგორ გახადო ადამიანი „აბსოლუტურად უვნებელი“, ესე იგი როგორ მოკლა იგი.**

**ჟურნალი „ფრაიე ველტი“, რომელიც ამ ფოტოსურათს აქვეყნებს, აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში ასეთი სახე აქვს პრეზიდენტ კენედის „თავისუფლების დოქტრინას“.**

**ამ „პარტიზანებს“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებენ.**

## „საფრონტო ქალაქის“ პოლიტიკის ნაყოფი

**ბერლინი**, 31 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტმა გამოაქვეყნა მასალები „დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის გამო“. ამ მასალებში მხილებულია დასავლეთ ბერლინის „საფრონტო ქალაქად“ გადაქცევის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ბონი და დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი. კომიტეტი ყურადღებას აქცევს იმას, რომ თუმცა დასავლეთ ბერლინი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი, დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის პრინციპები და დასავლეთ ბერლინზე გავრცელა ბონის მთავრობის 310 კანონი და 870 განკარგულება. ბონის ბუნდესვერში მსახურობს დასავლეთ ბერლინის 20 ათასი მცხოვრები. ქალაქის ამ ნაწილში მოიკალთა 50-ზე მეტმა ჯაშუშთა და დივერსანტთა ორგანიზაციამ, ყოფილ სს-ელთა და ვერმახტის სამხედრო მოსამსახურეთა 40 კავშირმა.

დაახლოებით 18 ათას ყოფილ ნაცისტურ მოხელეს, აღნიშნულია შემდეგ კომიტეტის მასალებში, აქვამად თვალსაჩინო პოსტები უკავიათ ქალაქის მმართველობისა და იუსტიციის ორგანოებში. მათ შორისაა ჰიტლერული საგანგებო და სამხედრო-საველე სასამართლოების 36 ყოფილი წევრი, რომლებმაც თავის დროზე 298 სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს. დასავლეთ ბერლინის პოლიციაში მსახურობს 83 ყოფილი სს-ელი და გესტაპოელი, რომელთა ადგილი საბრალმდებლო სკამზეა და არა ქალაქის მმართველობის ორგანოებში.

## ყუალდიდობა დასავლეთ პაკისტანში

**კარაჩი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დიდმა წვიმებმა დასავლეთ პაკისტანის ზოგიერთ რაიონში ძლიერი წყალდიდობა გამოიწვიეს.

მიღებული ცნობების თანახმად ორი უკანასკნელი დღის მანძილზე ქალაქ სიალკოტში 200 მილიმეტრი ნალექი იყო, ქალაქის ნაწილი დაიტბორა. სიალკოტისა და ლაიალპურის რაიონებში დაიღუპა რვა და დაშავდა 24 კაცი. წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას.

## რევანშისტები არ ცხრებიან

**ბონი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ქალაქ ვიურცბურგში გაიმართა რევანშისტების მორიგი თავყრა. აქ ხუთი დღის განმავლობაში სხდომა ჰქონდათ რევანშისტული ორგანიზაციის „აკერმანის საზოგადოების“ წევრებს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა პოლაპარ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ორგანიზაციის ამოცანაა „დაბრუნოს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა დასავლეთ ევროპის სასიცოცხლო სივრცეში.

თავშეყრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან ბარონმა ფონ გეტენბერგმა, რომელიც ცნობილია თავისი რევანშისტული შეხედულებებით. მან კვლავ ილაპარაკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეტენზიებზე, არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, არამედ სხვა ტერიტორიების — აღმოსავლეთის მიმართაც. გუტენბერგმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განახორციელონ „ძალის პოლიტიკა“.

## საგჭოთა მოჭადრაკეთა წარმატება

**ჰელსინკი** დამთავრდა მსოფლიოს გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა შორის. „ეჯიბრება წარმატებით ჩაატარეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც 5 ქულით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს და დაიბრუნეს მსოფლიოს ჩემპიონის სამატიო ტიტული.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა 39,5 ქულა შეაგროვეს, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა — 34,5 ქულა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა — 31 ქულა.

## რამდენიმე სტრიქონით

☐ **ტურინი** დამთავრდა მსოფლიოს პირველობა ფარიკაობაში. დიდი წარმატება ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც 18 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უკანასკნელი ფინალური მატჩის გმირი გ. კოსტაკა იყო.

გუშინ საბჭოთა მოფარიკაკეები სამშობლოში დაბრუნდნენ.

☐ **დამთავრდა** პირველი საკავშირო სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა. დამყარებულია 176 საკავშირო და 65 მსოფლიოს ახალი რეკორდი.

☐ **ფრანგბურთელებმა** ალამი დაუშვეს. ვაკოა გუნდებს შორის ჩემპიონი გახდა ცსკა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ოდესისა და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდებმა.

☐ **გამოვლინდა** ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტები. ესენი არიან — ქაუნასის „ბანგა“, კიევის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, ხაბაროვსკის სკა და ბაქოს „ნეფტიანიკი“.

☐ **ლონდონში** გამართულ ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა შტანგისტებმა ი. ვლასოვმა (მძიმე წონა) და ა. კურინოვმა (ქვესაშუალო წონა) მსოფლიოს ახალი რეკორდები დაამყარეს აკვრასა (206 კილოგრამი) და ატაცაში (135,5 კილოგრამი).

## ტურნირი უნგრეთში

**უნგრეთში** დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 8 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა გროსმაისტერი ბოლესლავსკი და უნგრელი ხაკი, რომლებმაც ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა შეაგროვეს და პირველი ორი ადგილი გაიყვეს. მესამე ადგილზე გამოვიდა სუეტინი (სსრ კავშირი, 9 ქულა).

## სსრ კავშირის თასზე

**ლენინგრადი**, 2 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება. ბის მეოქვსმეტედფინალური მატჩი ფეხბურთში. ლენინგრადის სპარტაკის წინააღმდეგ თამაშობდა არმავირის „ტორპედოს“ გუნდი. გამმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 6:0.

ამრიგად, ლენინგრადის „სპარტაკი“ მერვეფინალში გავიდა.


**რედაქტორი**
**დ. მეიდლიშვილი.**


## სალი ხმეგი

**ბონი**, 1 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს სკკპ პროგრამის პროექტს. ამავე დროს ბურჟუაზიული პრესის ცილისწამებლურ განცხადებებთან ერთად გაზეთების ფურცლებზე საღ მსჯელობასაც ვხვდებთ.

მთავრობასთან დაახლოებული ბონის გაზეთი „გენერალ-ანეიგერი“ აღიარებს, რომ „საფუძველი არა გვაქვს ჯეროვნად არ შევაფასოთ საბჭოების ეკონომიური პოტენციალიო“. „ყოველ შემთხვევაში, პირველი თანამგზავრის გაშვების შემდეგ, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა განსაცვიფრებელ წარმატებათა მიღწევა შეუძლია ამ ქვეყანას“. ამასთანავე, გაზეთი ცდილობს უნდობლობა დათესოს იმ გრანდიოზულ ამოცანათა რეალობაში, რომლებიც დასახულია პროგრამის პროექტით.

გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ აღიარებს, რომ სკკპ პროგრამის საფუძველზე საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდება.

ჰამბურგის გაზეთი „დი ველტი“ მოწინავე სტატიაში წერს: „პროგრამის პროექტი საქვეყნოდ აცხადებს, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. ეს შესაძლებელია“.

## საბჭოთა ბანკნოტები

**3 აგვისტო**

**ტელევიზია:** 12.00 — მხატვრული ფილმი — „სიცოცხლისათვის დაბადებულნი“, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „დღეები პიონერთა ბანაკში“, 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — კლასიკური მუსიკის კონცერტი, 19.05 — კინონარკვევი, 19.25— პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე — „ახალგაზრდობას სურს იცოდეს“, 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — ახალი ამბები, 20.10 — მხატვრული ფილმი — „სიცოცხლისათვის დაბადებულნი“.

**კინოები:** **რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — სამი ვარსკვლავი, **ამირანი** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — ჯადოსნური რვეული, **ოქტომბერი, გაზაფხული** — ლიუბოვმა, **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ფილარმონიის ბაღი** — ტყის სიმღერა, **ისანი** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — თავმჯდომარე ცენტრთავდამსხმელი. **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — ჩქარი ოსტრაკამდე. **ოფიცერთა სახლი, ვაკის პარკი** — ერთი რანგით დაბლა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — საბედისწერო მეჩეჩი, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ზოლიანი რეისი, **კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო) — მეხუთე განყოფილება, **საქართველო** (საზაფხულო) — მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების საბანკო ბილეთი, **ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სახლი** — ჩემი პატარა მეგობარი.


ეე 04017 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 1